


გრაფიკი #1 ზესტაფონის მუნიციპალიტეტში მოქალაქეების დასაქმების სტრუქტურა



ამ დარგში მოქმედი კომპანიების უმრავლესობა ძირითადად იყენებს მანგანუმის მადანს, რომელიც მოიპოვება ზესტაფონის მუნიციპალიტეტიდან 30 კმ-ში, მეზობელ მუნიციპალიტეტში ჭიათურაში. აღნიშნულ სფეროში წარმოებული პროდუქცია გადის უცხოეთი ქვეყნებში, კერძოდ: დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, იაპონია, ამერიკის შეერთებული შტატები, თურქეთი, ირანი და სხვა, მაგრამ ამავე დროს უნდა ითქვას, რომ ამ წარმოების შედეგში ზრდის დიდი შესაძლებლობა არა აქვს, საყურადღებოა ასევე ამ საწარმოებთან დაკავშირებული გარემოს დაცვის მიმართულებით არსებული პრობლემებიც.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტისათვის უნიკალურ ადგილობრივ პროდუქტს წარმოადგენს ასევე ადგილობრივი ელექტრო სადენების წარმოება, აღნიშნულ პროდუქციას აწარმოებს სს „საქკაბელი“, მათ მიერ წარმოებული პროდუქცია წარმატებით იყიდება სომხეთში და აზერბაიჯანში, კომპანიაში აქტიურად მიდის მუშაობა რათა მათი პროდუქცია გაიყიდოს ევროპის ქვეყნებშიც.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ასევე დიდი აგრარული ბაზარი, რომელიც კერძო სამამულო ინვესტიციით არის აშენებული და ის მომსახურებას უწევს არა მარტო მუნიციპალიტეტს მოსახლეობას, არამედ მეზობელი რაიონების და ზესტაფონის ტერიტორიაზე ტრანზიტად მოძრავ მოქალაქეებსაც.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტი თავისი ადგილმდებარეობიდან გამომდინარე წარმოადგენს სავაჭრო-სადისტრიბუციო კომპანიების დასაყრდენ პუნქტსაც. გამომდინარე იქედან, რომ არასაკმარისად არის განვითარებული სამაცივრე და სასაწყობე მეურნეობა, ამიტომ შექმნილი მდგომარეობა სრულად ვერ პასუხობს ბაზარზე არსებულ მზარდ მოთხოვნებს.

ჩატარებული გამოკითხვებისა და განხილვების შედეგად გამოიკვეთა, ზრდის თვალსაზრისით უფრო პრიორიტეტული მიმართულებები:

ზესტაფონის მუნიციპალიტეტში ტრადიციული და უნიკალური პროდუქტია ღვინო, ამ პროდუქტის წარმოებით განსაკუთრებით გამორჩეულია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის შემდეგი სოფლები – ქვედა საზანო, პირველი სვირი, მეორე სვირი, არგვეთა, კვალითი და სხვა.

ასევე კარგადაა ცნობილი ტრადიციული მეთუნეობისა და კერამიკის ნაწარმი (ამ მხრივ განსაკუთრებით ცნობილია სოფელი შროშა).